ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №8028517

ნომერი: AR11154014

თარიღი : 24.07.2026

გაცემის თარიღი : 03.08.2026

გაცნობის თარიღი : 03.08.2026

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, შერმადინის ქუჩა, N 29;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აკაკი ჯანელიძე პ/ნ 37001013083
- საქართველო, სამტრედიის მუნიციპალიტეტი, ქალაქი სამტრედია, ეგნატე ნინოშვილის IV ჩიხი, N 19

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 24 ივლისს №AR11154014 განცხადებით მომართა აკაკი ჯანელიძემ და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის 17 სექტემბრის №7632087 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2025 წლის 17 სექტემბრის №7632087 ბრძანებით შეთანხმდა № 01.72.14.036.125 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2025 წლის 29 სექტემბრის №7645415 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა.

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2025 წლის 17 სექტემბრის №7632087 ბრძანებით შეთანხმებული ელექტრო და გაზმომარაგების პროექტების ჩანაცვლებას წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი განახლებული ელექტრო და გაზმომარაგების პროექტებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ განახლებული ელექტრო და გაზმომარაგების პროექტების ჩანაცვლება არ წარმოადგენს სამსახურის 2025 წლის 17 სექტემბრის №7632087 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების სამართლებრივ საფუძველს. განგიმარტავთ, რომ შეთანხმებული არქიტექტურული პროექტისგან განსხვავებული სამშენებლო სამუშაოების განხოციელება, საჭიროებს შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ცვლილებას (კორექტირებას).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2025 წლის 17 სექტემბრის №7632087 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.